საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 9 სექტემბერი, 2013 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №04-01/55

2013-2014 სასწავლო წლისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აბიტურიენტთა მიღების წესში ცვლილებების შეტანის შესახებ

„ზოგადიადმინისტრაციულიკოდექსის" 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის I პუნქტის, უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლისსაფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები აკადემიური საბჭოს 2013 წლის 18 მარტის№ 04-01/15 დადგენილებით დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აბიტურიენტთა მიღების წესში:

თავი I.მისაღები კონტიგენტი:

1. ქორეოგრაფ-რეპეტიტორის (IV საფეხური) საგანმანათლებლო პროგრამაზე 15 ადგილი, მათ შორის პროგრამული დაფინანსებით -3 ადგილი-არაპროფესიონალი აბიტურიენტებისათვის;
2. პროგრამულ დაფინანსებას მოიპოვებენ ის აბიტურიენტები, რომლებიც შემოქმედებით ტურში მიიღებენ 81 და მეტ ქულას;

თავიII. ხელოვნების უნივერსიტეტში ჩარიცხვის წესი:

3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვა ხორციელდება:

- ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების (IV საფეხური) საგანმანათლებლო პროგრამაზე სივრცითი უნარების ტესტის და ხელოვნებაში საბაზო ცოდნის შეფასების ტესტის საფუძველზე;
- ქორეოგრაფ-რეპეტიტორის (IV საფეხური) საგანმანათლებლო პროგრამაზე სივრცითი უნარების ტესტის, ხელოვნებაში საბაზო ცოდნის შეფასების ტესტისა და შემოქმედებითი ტურის საფუძველზე;

თავიIII. შემოქმედებითი ტურის ჩატარების წესი:

1. შემოქმედებითი ტურზე პროფესიონალმა მოცეკვავე-მსახიობებმა და პრაქტიკოსმა ქორეოგრაფებმა უნდა წარმოადგინონ:
   ა)CV;
   ბ) ცნობა სამსახურიდან (სამუშაო სტაჟის მითითებით);
   გ) ანსამბლის რეგისტრაციის მოწმობა;

2. ხელოვნების უნივერსიტეტში აბიტურიენტთა განაცხადი მიიღება 2013 წლის 25 აგვისტოდან 14 სექტემბრის ჩათვლით. განსაკუთრებულ შემთხვევაში, კომისიის ნებართვით დასაშვებია განაცხადების მიღება ტურის დაწყებამდე.
3. ხელოვნების უნივერსიტეტში შესარჩევი ტური ჩატარდება 26 სექტემბერს.

2. მე - 5 თავს ,,აბიტურიენტთა მიერ უნივერსიტეტში წარმოსადგენი საბუთები“ დაემატოს ,,გ“ პუნქტი:

გ) შემოქმედებით ტურზე პროფესიონალმა მოცეკვავე მსახიობებმა და პრაქტიკოსმა ქორეოგრაფებმა უნდა წარმოადგინონ:
ა) CV;
ბ) ცნობა სამუშაო ადგილიდან (სტაჟის მითითებით);
გ) ანსამბლის რეგისტრაციის მოწმობა;

3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **ე. მესხია**